ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 30

"12" თებერვალი 2019 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 თებერვლის N19.153.210 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით" 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ევროს ოდენობის ქვესესხის ხელშეკრულების გაფორმებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე